F2732 ა 13786

წელიწადი პირველი

ფასი 2 კაპ.

რედაქციის ადრესი: გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

# ახალი დროება

თფილისი, პარასკევი 10 მარტი (23) 1906 წ.

თფილისის პატრიოტული საზოგადოება გაფიცვას აპირობს სოციალისტების წინააღმდეგ.— ზედ-მეტი გადასახადების შემოღება სენაკის მაზრაში.—გაზეთი „ნოვოსტი“ დახურეს. რედაქტორი ციხეში ზის.

№ 6. ყოველ-დღიური გაზეთი. № 6.

„ახალი დროება“

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წლიურად 5 მან., 6 თვით 3 მან., ცალკე № 2 კაპ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება:

**თფილისში:** რედაქციის კანტორაში, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

**ქუთაისში:** „კოლხიდა“-ს ამხანაგობაში, ტრიფონ დამბაშიძესთან

**ბათუმში:** „გეორგია“-ს ამხანაგობაში.

**ბაქოში:** ბ-ნ პლატონ დ. გელოვანთან, ნიკოლაევსკის ქუჩა, №39.

რედაქციის კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდე.

გაზეთი „ივერია“ 1906 წ.

გამოვა ყოველკვირეულ გაზეთად, ზომით ერთიდან ორ თაბახამდის. ფასი გაზეთისა წლის დამლევამდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნით 3 მან., 5 თვით—2 მან.

„ივერიის“ შარშანდელ ხელის მომწერთ დაურიგდებათ წიგნებად დაკლებული პრემიები №№ 8—11, რომლებიც უკვე დაბეჭდილია, ხოლო დანარჩენ ერთი წიგნის მაგიერ გაეგზავნებათ ყოველკვირეული „ივერია“ ერთი თვის განმავლობაში.

პირველი ნომერი კვირეულ „ივერიისა“ გამოვიდა 5 მარტს.

ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ფრეილინის ქუჩა, № 5.

რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი. გამომ. თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის

ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეების გარდა.

დილაობით.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილისი) და საშირდ. ავადმ.

უ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახევ.—10 საათ. ... ვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყ.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. სა... ბიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფობ.

მ. გ. ავეტისიანი: 11—12 ს. კანისა, ... ფილისისა, ვენერ. და ქირურგ. ავადმყ.

... ძ. ი. მძელიშვილი: 11—ს, ყური-ცხვირისა. და ყელის ავადმყოფობანი.

ა. პ. ქარაპეტიანცი: 1—1 ნახევ. ს. ... ნაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

ა. ი. შჩერბინინა: 1 ნახ.—2 ს. სა... ბიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფ.

ბ. ი. გურგენოვი: 1—2 ს. ქალისა დ ... ებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

... მ. პუზინოვი: 5—6 შინაგან და ... შვთა ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

... გ. აბიანცი: 6—7 ს. შინაგან ... მყოფ.

... ა. ნავასარდიანი: 7—7 ნახ. ს. ... ჩევა დარიგების ფასი ათი შაური, ... იბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუ... და ოპერაციებისათვის მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცი-... დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ექიმი უ. მ. ჩიქოვანი

იღებს ყოველ-დღე 12—2 საათ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ლ. ლ. ბახტაძე

გადავიდა გრიბოედოვის ქუჩაზე სახლი № 5.

## „განთიადის“ აზრი გლეხთა მოძრაობის შესახებ“.

„განთიადი“ (9 მარტ.) გლეხთა მოძრაობის შესახებ ამბობს:

„რევოლიუცია გლეხობას მეტს მისცემს, ვიდრე დღევანდელი მთავრობა; გლეხების აჯანყება რევოლიუციონურ პროლეტარიატისთვის სახიფათო არ იქნება“.

გამოდის, ვითომ გლეხებს მთავრობაც მისცემს რამეს. გვიკვირს, როგორ მოუვიდა თავში ავტორს ამგვარი აზრი?! აგრეთვე ყოვლად შეუწყნარებელია თქმა: „გლეხების აჯანყება რევოლიუციონურ პროლეტარიატისათვის სახიფათო არ იქნებაო“. როგორ? ნუ თუ გლეხების საერთო აჯანყებას მხოლოთ ის მნიშვნელობა აქვს, რომ სახიფათო არ იქნება?!

აქედან ცხადია, „განთიადს“ გლეხთა მოძრაობა არ მიაჩნია დიდ-მნიშვნელოვანად. ჩვენი ფიქრით ამ მოძრაობას უღრმესი მნიშვნელობა აქვს. მართალია, ქალაქის მუშამ უფრო ადრე შეიგნო ახალი სოციალ-ეკონომიური იდეალი, მაგრამ ამ იდეალის განხორციელება, ძველი წეს-წყობილების დამხობა და ახალის შექმნა შეუძლია მხოლოდ საერთო მოძრაობას. გლეხი და ქალაქის მუშა ხელი-ხელს გადახვეულნი უნდა მოქმედებდენ. რევოლიუცია მარტო ქალაქის მუშათა საქმე კი არ არის, არამედ მთელი მშრომელი ხალხის საქმეა. მეტადრე ჩვენში მომაკვდინებელ შეცდომად მიგვაჩნია ქალაქის მუშათა მნიშვნელობის მეტის-მეტი გაზვიადება და გლეხთა მნიშვნელობის ჩაუგდებლობა, რადგან ქალაქის მუშა ცოტაა, ძალა გლეხობაშია, და, თუ ეს უდიდესი ნაწილი მშრომელი ხალხისა უარვყავით, ქალაქის-მუშების ამარა შორს ვერ წავალთ.

ან რად უნდა ვაყენებდეთ გლეხს ასე დაბლა? ახლანდელი გლეხი ხომ საშუალო საუკუნისებური გლეხი არ არის. მას ცალი ფეხი ქალაქში უდგია. მიწა აღარ ყოფნის და იძულებულია ქირაზე იმუშაოს. თუმცა აუტანელი ჯაფით წელი მოწყვეტილი აქვს, გაჭირვებიდან მაინც ვერ გამოდის. შია და სცივა, ისიც აგრეთვე გარიყულია ცხოვრების მეჯლისიდან, როგორც ქალაქის მუშა; როგორც ქალაქის მუშა არ არის კმაყოფილი თავისი მდგომარეობით, აგრეთვე გლეხი. აი აქ არის წყარო და მიზეზი გლეხის მოძრაობისა.

ტყუილია აგრეთვე ის აზრი, ვითომ გლეხი ვერ შეიგნებს თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ იდეალებს. თავისუფალი თანამშრომელობა, ერთად მუშაობა, ერთმანეთის დახმარება მშრომელთა ყოველთვის ყოფილა და ახლანდელი სოციალ-ეკონომიური მოძრაობაც ხომ ამ იდეალებზეა დაფუძნებული.

დიაღ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა თანასწორად მივაქციოთ ყურადღება ქალაქის მუშასა და გლეხს, გლეხსაც აუხილოთ თვალი, შევაგნებინოთ ახალი სოციალ-ეკონომიური იდეალი. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიმარჯვებს მშრომელი ხალხი და დამყარდება ქვეყნად სამართლიანი ურთიერთობა, ძმობა, ერთობა და თანასწორობა.

---

## სინიდისი სამარცხვინო ტყვეობაშია.

სრული 95 წელია, რაც ჩვენმა ეკკლესიამ ფაქტიურათ თავისუფლება დაჰკარგა. 95 წელია, რაც საქართველოს ეკკლესია რუსეთის ბიუროკრატიულ სინოდს დაუმორჩილეს; კათალიკოსობა მოსპეს; კათედრები დახურეს; მღვდელმთავრები სამსახურიდან დაითხოვეს ან გადაასახლეს; ეკლესიებში ქართული წირვა-ლოცვა სასტიკათ შეზღუდეს; სასულიერო სასწავლებლებიდან ქართველები და ქართული სალიტერატურო ენა თითქმის სრულიად განდევნეს; საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონება რუსეთის ხაზინას გადასცეს; ხალხს თავისივე მღვდლის არჩევის უფლება წაართვეს; სემინარიებში უკულმართის აღზრდით სამღვდელოება ხალხს დააშორეს, მღვდელსა და მრევლს შორის შემაერთებელი ხიდი ჩასტეხეს; დასასრულ, ამასაც არ დასჯერდენ და, როდესაც უფსკრულის პირად მიყვანილმა სამღვდელოებამ თავის გასაჭირზე ხმის ამოღება გაბედა, „ძლევა-მოსილი“ ყაზახები მიუსიეს და მათრახებით თავპირი დაამტვრიეს!...

ერთი სიტყვით, ყველგან და ყველაფერში განადგურება, სინიდისის თავისუფლების შელახვა, ნაციონალურისა და უბრალო ადამიანური თავმოყვარეობის ფეხ-ქვეშ თელვა, მასხარად აგდება და მიწასთან გასწორება!...

და ეს ყოველივე არა ერთის დღით, ერთის თვით ან წლით, არამედ მთელი საუკუნის განმავლობაში. ჩვენი მტერ-მოყვრების გასახარებლათ და სასიამოვნოთ!...

და ეს ყოველივე არა რომლისამე განსაკუთრებულ დანაშაულისათვის, არამედ მხოლოდ მისთვის, რომ ჩვენ ქართველები მართლმადიდებლები ვართ და ვიყავით!...

არა გჯერათ? აბა დააკვირდით თუ ასე არაა: სომხებს უფლება აქვთ დამოუკიდებელი ეკლესია იქონიონ! მაჰმადიანებს შეუძლიათ დამოუკიდებელი სამღვდელოება იყოლიონ! ებრაელებს ნება აქვთ ღვთისმსახურება დედაენაზე ასრულონ! სექტანტებსა და მწვალებლებს რუსეთის კანონი ამ ბოლოს დროს მფარველობასაც კი უწევს!.. მართლ-მადიდებელ ქართველებს კი მომაკვდინებელ ცოდვათ უთვლიან, თავისი საუკეთესო საქმეები თვითონვე განაგონ და საამისოდ მოსკოვსა და პეტერბურგს არ დაეკითხონ ხოლმე!...

განა ხცადზედ უცხადესი არაა, რომ ჩვენ გვსჭიან ჩვენი მართლმადიდებლობისათვის?!

ცხადია, მაგრამ ვინ არის გამგონე? სადაა სამართალი? სად უნდა ვეძიოთ ხსნა ამ სულის შემხუთველ მდგომარეობისაგან? რა გზას უნდა დავადგეთ, რომ ქართველი ერის სინდისის თავისუფლება სამარცხვინო ტყვეობიდან გამოვიხსნათ?

აი საკითხი, რომელიც თანამედროვე ცხოვრებამ ჩვენს ერსა(ც!)და სამღვდელოებას მედგრათ წამოუყენა! ბი საკითხი, რომლის უყურადღებოთ დატოვება მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ყოველ შეგნებულ ქართველს, ვისაც კი მცირეოდნათ მაინც შერჩენია ეროვნული თავმოყვარება და უბრალო პატივისცემა ქართველი კაცის ელემენტარულ უფლებისადმი!

ჩვენ აზრად გვაქვს „ახალი დროების“ მკითხველებს რამოდენიმე წერილი მივაწოდოთ აღნიშნულ საკითხის შესახებ: მტკიცეთ გვრწამს და აღვიარებთ, რომ მხოლოდ ის ერი გამოდის ცხოვრებიდან გამარჯვებული, რომლის ყოველი წევრი თვით უბრალო წვრილმანებშიაც კი მედგრათ იცავს თავის უფლებებს. *)

ს. გ.

## ახალი ამბები

✦ **სტატისტიკა ქალაქისა.** შეკრებილ ცნობების ძალით ქალაქის გამგეობაში სულ 770 მოსამსახურე ყოფილა, მათში ვაჟები 626, ქალები 144. ეროვნების მხრივ სომეხი 361, ქართველი 198, რუსი 155, პოლიაკი 15, ებრაელი და ოსი 11. მომეტებული ნაწილი ცოლშვილიანია, ხოლო ქალები უქრმოები. წერაკითხვის უცოდინარი 194, დაბალ სწავლა მიღებული და ნასწავლი 264, საშუალო და უმაღლესი სწავლა მიღებული 299. 300 მანეთამდის იღებს 404 კაცი, 600 მანეთამდის 242, 1200 მანეთამდის 85, ხოლო 2000 მანეთამდის 27, 2000 მანეთზე მეტს 11 კაცი.

✦ **არჩევნები.** თფილისის მაზრაში უკვე შეუდგენ არჩევნებს. სულ მთელ მაზრაში რწმუნებულთა რიცხვი უდრის 1200 კაცს, რომელნიც სამაზრო სათათბიროსთვის აირჩევენ 20 კაცს, ხოლო ესენი თავის მხრივ საგუბერნიო კამისიაში ორ ამომრჩეველს.

✦ **სოფ. დაღიკაური.** 4 მარტს გადაწვეს 4 მოსახლე ეკალაძეები; ეკალაძეებს მხოლოდ ერთი ბერდანკა აღმოსჩენიათ.

✦ **სამხედრო წესების ახსნა თბილისის გუბერნიაში.** თბილისში ხმა დადის, რომ თბილისის გუბერნიასა და მაზრაში სამხედრო წესები 15 მარტიდან აიხსნება.

✦ **გენერალ შირინკინის მოკვლის განზრახველთა საქმის გარჩევა.** 15 მარტს თბილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს ვლადიმერ სულადოვისას, გასპარ კაჩაროვისას, შიო პავლიაშვილისას, დავით კაჩაურისას, ალექსანდრე წკიპურაშვილისას და პეტრე ბასტრიჩევისას, რომელთაც გენ. შირინკინის მოსაკლავად ყუმბარების კეთება ბრალდებათ.

✦ **განხეთქილება თბილისის რუს „პატრიოტთა“ შორის.** თბილისის რუს პატრიოტებს უთანხმოება მოსვლიათ და ეს უთანხმოება იმდენად გამწვავებულა, რომ „გოლოს კავკაზა“-ს რედაქციიდან გაუძევებიათ ყველასაგან ცნობილი ნ. ნ. შავროვი და ხუცესი გოროდცევი.

✦ **კონსტ. დემოკრატიულ პარტიის ბიურომ** ცენტრალურ კომიტეტისაგან მიიღო ბროშურები საოლქო ავტონომიების შესახებ.

✦ **ქუთაისში** ნაცვლად კლიმენტიევისა, რომელმაც სამსახურს თავი გაანება, პოლიცმეისტრად ინიშნება მაზრის უფროსის თანაშემწე პუშკინი.

✦ **ქალაქის წყლისაყვანი.** თბილისის ქალაქის გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე, ავჭალის წყლის მილის შესაკეთებლად 142.000 მანეთი გადასდო.

✦ **ჯარის გაყვანა.** გორის მაზრის სოფელ ახალ ქალაქიდან ჯარი გაუყვანიათ რადგან მცხოვრებთ საერობო და სახელმწიფო გადასახადები გაუღიათ.

✦ **ჩხრეკა.** ამ ჟამად თფილისში სახლებსა ჩხრეკენ. მთაწმინდაში აღმოუჩენიათ შვიდი ბერდანის თოფი.

✦ **ვაგონებიდგან საქონლის გატაცება.** 20 იანვარს ყარსის გზაზე ვაგონებიდან გაუტაცნიათ დიდძალი ძვირფასი საქონელი. გატაცებაში მონაწილეობა მიუღია რკინის გზის ხელოსანს კონჩენტკოვს.

✦ **სახაზინო თეატრის გაჩხრეკა.** 7 მარტს სახაზინო თეატრის შენობა გასჩხრიკეს; შიგ არაფერი უპოვნიათ.

✦ **ახალი გადასახადი.** სამეგრელოდან ჩამოსულებმა გვიამბეს: სენაკის მაზრაში სახელმწიფო და საერობო გადასახადების გარდა ადმინისტრაცია, მცხოვრებთ ზედმეტს 30,000 მანეთს ახდევინებს. ეს ფული უნდა განაწილდეს იმ პირთა ოჯახებს შორის რომელნიც რევოლუციის დროს, მთავრობის ერთგულობისათვის ხალხის მიერ იქმნა მოკლული. სენაკისავე მაზრაში მცხოვრებთ ადმინისტრაცია 60,000 მან. ახდევინებს მემამულის პრინცესა მიურატის სასარგებლოდ, რომლის ტყეს ხალხმა გასჩეხა და სხვა ზარალიც მიაყენა.

✦ **ექიმ ივ. გომართლის შესახებ.** ცნობილი ექიმი და მწერალი ივანე გომართელი, რომელიც ამ რეაქციის დროს ვიღაცეებმა მთავრობასთან დაასმინეს და შესაპყრობად დასდევდნენ, საზღვარ გარეთ წასულა.

✦ **გუბერნატორის მოწერილობა.** თბილისის ქალაქის მოურავს გუბერნატორმა აცნობა მიხეილის საავადმყოფოს უკიდურესი მდგომარეობა, რის გამოც საავადმყოფოში საშინ ავადმყოფებს ვეღარ იღებენ და წინადადება მისცა: ქალაქის თვით-მმართველობამ ახალ საქალაქო საავადმყოფოს დაარსება დააჩქაროსო.

*) ეკლესიის შესახებ რედაქციას თავისი საკუთარი აზრი აქვს.

## ფელეტონი.

### სასწორ-სამართალი.

ოჰ, ყოვლად პატიოსანო სამართალო, როდისღაც ქვეყანა შენით ამაყობდა და ხარობდა!

მას აქეთ, რაც „სასწორ-სამართალი“ ე. ი. სამართალი და მისი სასწორი ქვეყნის სიბილწით, ხალხის უკუღმართობის გამო ცაში ავიდა, ქვეყანა დალპა და აყროლდა როგორც ტბა, მას აქეთ ქვეყანაზე შემაძრწუნებელი უსამართლობა გაბატონდა.

არასოდეს სამართალი ისე არ მონატრებია კაცობრიობას, ტანჯულ ხალხს, როგორც დღეს. განა იყო როდისმე ასეთი საშინელი დრო და ჟამი, როგორც ახლაა? აბა, ვის უნახავს, რომ კაცი მოეკლათ მისთვის, რომ კაცის სიკვდილი სიამოვნებოდესთ? აბა, როდის ნახულა, რომ ქვეყანა აეკლოთ, დაეწვათ მისთვის, რომ ამით თავი გაერთოთ? აბა, როდის ნახულა, რომ ტყის ნადირებსავით წაეხსნათ ჯგუფებს, გუნდებს თავი და ყოველივე ღირსება კაცის შეელახოთ, ყოველივე პატიოსნება და ნამუსი ქალის წაერყვნათ? ნეროնის დრო ხომ არ დაგვიბრუნდა? ნუ თუ მთელი ერთი წყება ხალხისა ხასიათ წაპილწულ, გონება დაბნელებულ ნერონად გადაიქცა?

სხვაზე უფრო მე მომწყურდა სამართალი, სხვაზე უფრო მე დამჭირდა მისი ნუგეში და,—რაც გვაგონდება, ხომ ის გვესიზმრება!—ვიხილე კიდეც იგი.

მას აქეთ რაც სამართალი ცაში გაფრინდა და, ცხოვრობს იქ, სადაც შვიდი ვარსკვლავი—სასწორი ბრჭყვინავს ლაჟვარდ სივრცეში, იქ დავინახე იგი წმინდა მთვარიან ღამეში. ჩამომჯდარიყო როგორც თეთრ მარმარილოს ტახტზე—ღრუბელზე და სხივ-მოსილი, როგორც ციაგი მთვარის, ფუფუნობდა. დიდებული სანახავი იყო მისი ბრძენი, ჩაფიქრებული, მოწყენილი და დინჯი, ღირსებით სავსე სახე. ეტყობოდა, რომ რაღაც უკურნებელი მწუხარება, რაღაც გულ-შემატკივრობა თან გაჰყოლოდა დედა-მიწიდან. იმ უკურნებელ სენს აწინდელ ქვეყნიურ უბედურებათ უფრო განცხოველებულს გამოეწვია სამართალი თვის საფარიდან, გამოეჩინა და მეც დავინახე.

ღამე იყო, შვენიერი ღამე. ბუნება შნოსა და ეშხს უფრო მკვირცხლად იჩენდა, ვიდრე სხვა დროს, რომ ალტაცებით შეგებებოდა შვენიერ სამართლის უკუნეთივით შავს, მაგრამ უსხივო თვალებს.

მაგრამ მყუდროების მაგიერ ქვეყანა ჯოჯოხეთურ სანახაობას წარმოადგენდა. ისმოდა საშინელი კივილი, ტანჯვა-ვაება; გრიალობდა აქა და იქ ანთებული კოცონი, ხანძარი; ისმოდა ცივი ალაპლაპებული იარაღის წკრიალი—იღვრებოდა ცხელი, უმანკო სისხლი!

სამართალს გულში ეკალი ესობოდა.

მოჰკრეს თუ არა თვალი, ყოველმა ტანჯულმა, ყოველი ქვეყნის პირიდგან აატანა და შეჰბღავლა სამართალს:

— გაცოფებული ძალ-მომრეობა გვგუდავს, გვახრჩობს, გვანადგურებს, სადა ხარ სამართალო, გვიშველე!

სამართალს გულზე ცეცხლი მოეკიდა და დამდაბლებულის, გულმომკვდარის ხმით იკითხა:

— ვინ ხართ, რომ ასე საშინლად და უსაშველოდ იტანჯებით?

— ჩვენ ვართ, ყოველის მხრიდან შესძახეს: ჩვენ ვართ—გლეხკაცობა, მუშა—მშრომელი ხალხი. ვშრომობთ და შიმშილით ვიხოცებით. ძირს, ცხოვრების ჩამპალ უფსკრულში ვართ ჩაგუდული, გვცივა, გვშია!.. მაღლა ვიწევთ და თავზე გვაწევს აუტანელი ტვირთი—ეს ურიცხვი მუქთახორა... შხუის ხმალი, გრიალობს თოფი, ბრიალობს ცეცხლი... სადა ხარ, სამართალო, გვიხსენი!...

მაშინ იქცია სახე პატიოსანმა სამართალმა სამხრეთისკენ, საიდანაც მეტი გამწვავებული კივილი ისმოდა და იკითხა:

შენ, გული რომ გასკდება, ვინღა ხარ?

— მე ვარ მრავალტანჯული ქართველი ხალხი. ჩემი ტანჯვა, შეუდარებელია. მე არამც თუ მუქთახორა ხალხი, ეს ცხოვრების ნარიყალი, რაც უფრო აუტანელია, თვითონ თანამორწმუნე მშრომელი ხალხიც შეუგნებლობისა გამო მანადგურებს, მთხრის ძირიან-ფესვიანად. მიხსენი მშიერი, შიშველი მშიერ შიშველისვე მონობისგან.,.

— არ იქნება, სისხლით ნაშოვარია, ჩემია ეგ ხალხი, გაიცა ჩრდილოეთის ქარის ხმაური და მისმა სუსხმა გააფითრა აუჩქარებელი სამართალი.

არა, სთქვა ნელის ხმით სამართალმა: ყველა ერმა თვითონ განაგოს, სხვის ძალ-დაუტანებლად თავისი საქმე.

ერიო!? იღრიალა ჩრდილოეთის მკაცრმა ქარმა და ახარხარდა.

დიაღ, ერმა—თვითონ ხალხმა მშრომელმა ხალხმა და არამც თუ მისმა გამონარიყმა ხორც-მეტმა გადაშენების გზაზე მდგარმა. ყველამ თვითონ ოჯახს თვითონ მოუაროს და მოუაროს იმ წრეს, რომლის შემოვლაც იოლად შეეძლებოდეს. თავისუფალი თანასწორობა და არა მონობა, რომელსაც ჩრდილოეთის ქარი მღერის, დაამშვიდებს აბობოქრებულ ცხოვრებას. აურ-ზაური ბადებს მშვიდობას, როგორც სიკვდილი სიცოცხლეს. მაშ ეგ შეხლაც შველის, ხსნის მაჩვენებელია, ურომლისადაც შეუძლებელია შიმშილის, სიცივის—ყოველ გვარი კაცის დაჩაგვრის მოსპობა. მხოლოდ თავისუფალ კაცს შეუძლია მართალ თანასწორობაზე იფიქროს.

დღიაონიძე.

✦ **თარეში ლანჩხუთში.** როგორც გვატყობინებენ, 7 მარტს კაზაკებმა ადგილობრივი მცხოვრები პ. წილოსანი შეიპყრეს, შემდეგ დასწვეს ბესარიონ და პავლე წილოსანების სახლები. 3 მარტს ლანჩხუთშივე ადმინისტრაციამ სიმონ არაგველიძე დააპატიმრა.

✦ **მოსალოდნელი გაფიცვა.** როგორც გავიგეთ, თბილისის პატრიოტულ საზოგადოებას განუზრახავს გაფიცვა მოახდინოს, რადგან რკინის გზაზე მოსამსახურეთა შორის ბევრი სოციალისტი არის. გაფიცვით საზოგადოებას აზრად აქვს მთავრობა აიძულოს „სოციალისტები“ სამსახურიდან დაითხოვოს და მით სამუდამოდ შეუძლებელი გახადოს რკინის გზაზე გაფიცვის მოხდენა და პროტესტის გამოცხადება.

✦ **მაჰმადიანთა დღესასწაული.** გუშინ, 9 მარტს, მაჰმადიანთა დღესასწაული „ნოვრუსი“ (ახალი წელიწადი) დაიწყო. მაჰმადიანებს ეს დღე ჩვეულებრივ ლხინით არ გადაუხდიათ, რადგან ამ დღესასწაულს მაჰმადიანთა სამგლოვიარო დღეები „აახარაში“ შეხვდა

✦ **რკინის გზის სამმართველოს მოთხოვნა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ ქალაქის გამგეობას მოსთხოვა ის 13.284 მანეთი და 39 კაპ., რომელიც გამგეობას გაფიცვების დროს მიღებულ ფქვილისა, ნავთისა, შაქრისა და სხვა სანოვაგის გაყიდვიდან დარჩა.

✦ **ორი ყუმბარის პოვნა.** გუშინ, 8 მარტს, ოლგას ქუჩაზე, ტატო გაბაშვილის სახლში, რომელიც იჯარით სასტუმრო „ბერლინის“ პატრონს ხუნდაძეს აქვს აღებული, ორი ყუმბარა იპოვნეს. ხუნდაძე დააპატიმრეს

✦ **არჩევნების შესახებ.** ქალაქის გამგეობაში ნელ-ნელა შედის სია იმ პირთა, რომელთაც უფლება აქვთ სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობა მიიღონ. გუშინ სია წარადგინეს: თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორმა და თბილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობამ. უკანასკნელ დაწესებულებიდან სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღების უფლება 20 კაცს ჰქონია. ყველანი სომხები არიან.

✦ **გუბერნატორის წერილი ქალაქის გამგეობასთან.** 9 მარტს თბილისის გუბერნატორმა ქალაქის მოურავს მისწერა: ჯერ-ჯერობით სისრულეში ნუ მოიყვანთ საბჭოს დადგენილებას, რომლითაც თბილისში მომხდარ უწესოების დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ ქალაქის კასიდან 5.000 მანეთი უნდა გაიცემოდაო. გუბერნატორი ამასთანავე წინადადებას აძლევს, ერთის კვირის განმავლობაში მაცნობეთ, რომელს უწესოებაზე არის აქ ლაპარაკი და ფული ვის უნდა მიეცესო.

✦ **დ. ყვირილა:** თავ. აკაკი წერეთელს ამ მოხუცებულობის დროს განუზრახავს სათათბირო დუმაში მიიღოს მონაწილეობა. ბ. აკაკი 4 მარტს ყვირილიდან ქ. ქუთაისში წავიდა.

✦ **სურამის ბოქაული.** როგორც გავიგეთ, თბილისის პირველ საპოლიციო ნაწილის ზედამხედველი პეტროვსკი სურამის ბოქაულად დაინიშნა.

**ახალი სომხური გაზეთი.** 20 მარტიდან თბილისში, ბ-ნ. ერზრკიციანცის რედაქტორობით, გამოვა სომხური გაზეთი „კაინ“ (ნაპერწკალი).

## გაზეთის დახევა.

ყვირილიდან ჩვენი აგენტი გვატყობინებს, რომ 6 მარტს დ. ყვირილაში ვიღაც ჟანდარმი იჭერდა ჩვენის გაზეთის დამტარებელ ბიჭებს, ხელიდან გლეჯდა გაზეთებს, ნაფლეთ-ნაფლეთად ხევდა და ქუჩაში ყრიდა. ჩვენმა აგენტმა დასამტკიცებლად მთელი შეკვრა დახეული გაზეთები გამოუგზავნა რედაქციას.

ჩვენ არ გვაკვირვებს თვითნებობა ყვირილელ ჟანდარმისა, როგორც არ გაგვაკვირვებს არაფერი იმერეთიდან, მას შემდეგ რაც იქ მოხდა და ხდება. იქ სადაც კაცის სიცოცხლე ჩალის ფასად არ ღირს, სადაც ცეცხლი და მახვილია გაბატონებული, გაზეთების ხელიდან გლეჯა და დახევა გასაკვირველი არ არის. ჩვენთვის მხოლოდ საინტერესოა ვიცოდეთ, ნუ თუ გაზეთების დახევაც შედის ხალხის დასამშვიდებელ პროგრამაში?

ჩვენ ვთხოულობთ ქუთაისის დროებითი გენერალ-გუბერნატორისაგან ფიცხელი განკარგულება იქნეს მოხდენილი თავ-გასულ ყვირილელ თვითმყრობელის მოქმედების გამოსაძიებლად და სასტიკად დასასჯელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ თვითონ ვეცდებით დაუმტკიცოთ ვისთვისაც რეჯ არს, რომ კიდევ არსებობს ქვეყნად საზოგადო მსჯავრი.

## ნარკვევი.

თფილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ოთხივე რაიონულ ორგანიზაციებს 42 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ დაუდგენიათ, მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. ხელმძღვანელ კომიტეტსაც ასეთივე გადაწყვეტილება მიუღია. ამ გადაწყვეტილებას შემდეგ საბუთებზე აფუძნებენ: (იხ. „განთიადი“ 9 მარ).

1) არჩევნებში მონაწილეობის მიღება ხელს შეუწყობს პოლიტიკურ აგიტაციას და მუშათა ორგანიზაციასო.

2) მოედანი არ უნდა დავუთმოთ უკან ჩამორჩენილებსო.

ჩვენ ვფიქრობთ, არჩევნებში მონაწილეობის მიღება უფრო შერიგებას მოასწავებს, ვიდრე პოლიტიკურ ბრძოლას. რაც შეეხება იმას, რომ მოედანი არ უნდა დავუთმოთ უკან ჩამორჩენილებსო, ამას სოციალ-დემოკრატია ვერ შესძლებს. მოედანი უკვე რეაქციონერების ხელშია. ვინც ფიქრობს, რომ სათათბიროში რეაქციონერებთან კამათიდან რამე გამოდნება, ტყუილა თავს იტყუებს.

## კორესპონდენცია.

**ბათუმი.** გუშინ წინ ბათუმის კომენდანტმა გაანთავისუფლა ჩერნომორ. ვესტნიკი ცენზურის ქარცეცხლისაგან და მეორე დღეს კი მცირედის სიმართლის დაბეჭდვისათვის მთელი დღის ნომრები დაიჭირა.

ვიდაცას რუსეთში და საძღვარ გარეთ ხმა გაუვრცელებიათ ბათუმში ქარხნები გაიხსნაო და აუარებელი მუშა მიდის სხვა და სხვა კუთხეებიდან. მარტო სომხის მუშა ათასამდე მოვიდა, საქმე კი არსად არის. ხალხი ჭყრია ნავთსადგურებსა და ქუჩებში და ძრიელ გაჭირვებაშია.

ქარხნების გახსნის შესახებ მხოლოდ ლაპარაკია და ჯერ კიდევ კაცმა არ იცის როდის გაიხსნება, მხოლოდ როგორც ეტყობა ქარხნების გახსნა მოსალოდნელია მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შემდეგ, ასეთი აზრისანი არიან აქ.

ბათუმის სიჩუმეს და სიწყნარეს არღვევს მხოლოდ კაზაკთა რაზმის დემონსტრატიული მსვლელობა ქუჩაში. გუშინწინ დიდებულად გაიარეს მუსიკით ცხენოსნებმა და ქვეითმა ჯარმა ერთად ქ მეწობრად და საცსე ზარბაზნებით.

გულდამწვარი.

**ქ. ქუთაისი,** 9 მარტი. მეტად მძიმე დგომარეობაში ვართ. სახლს ვეღარ ვეკარებით. რაც იყო უიმედივე გატაცებული და დაფშვნილ. გაოხრებულია პ. მოსეშვილის სახლში უღვლისფერი ააფუნდრიაკეს, გაიტაცეს. თითონ ოჯახობა სახლს ვეღარ ეკარება შიშით. აღარაფერს ზოგავენ. აღარავის იხათრებენ...

ს. გ.

## რუსეთი.

ხელი ხელსა ბანს, ორივე კი პირს.... მოსკოვში 17 ოქტომბრის კავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს პროფ. ფედოროვს ქუჩებში განცხადება გაუკრავს ასეთის სათაურით: „როგორ უნდა აირჩიო (სათათბიროში) ის, ვისაც არ იცნობ“. მსურველთ წინადადება ეძლევა მიბრძანდეს 17 ოქტომბრის კავშირში, სადაც ამ საიდუმლოს უსასყიდლოთ ასწავლიან თურმე. მაგრამ ასეთ მოღვაწეობას მარტო 17 ოქტომბ. კავშირი როდი ეწევა, მას ამ საქმეში დიდად შველის თურმე პოლიცია. ამ რიგად, 17 ოქტ. კავშირი და პოლიცია ერთმანეთს ემსახურებიან და ორივენი კი... „საზოგადო საქმეს“.

ნეტავი რაღად აცხადებდენ? კურსკიდან იტყობინებიან, რომ ობოენის მაზრის ერთი სოფლის მღვდელი ეპისკოპოსმა პიტირიმმა დასაჯა, რადგანაც ამ მღვდელმა თურმე... ორჯერ წაუკითხა ხალხს მანიფესტი.

**საგულისხმო მუშტი.** 22 იანვარს ყუბანის ოლქის ერთი მღვდელი შეჭრილა მასწავლებელ ქალების ოთახში და მკვახედ მიუხლია:

— რატომ ეკლესიაში არ დადიხართ?

— ეგ, მამაო, ჩვენი სინიდისის საქმეა, მიუგიათ ქალებს.

— ვინ მოგცათ მასწავლებლებს სახალხო კითხვების გამართვის უფლება? თქვენ მხოლოდ ხალხსა რყვნით! ხალხის განათლება მღვდლისა და ეკკლესიის საქმეა და არა თქვენისთანა გარყვნილების!..

— რა ნება გაქვთ, რომ შეურაცხყოფას გვაყენებთ!—შეუძახნია ერთ მასწავლებელთაგანს.

— მე თქვენ გაჩვენებთ, რაც ნება მაქვს, ამ მუშტს ხედავთ! რომ წაგიშენთ, თავით სამ რწყვილ კარებსა და ორ კედელს შეგანგრევინებთ!.. გესმისთ!—მღვდელს მუშტი მოუღერებია და მესაფერი პოზა მიუღია. მუშტის დანახვაზე ერთ ქალს გული წასვლია.

**ბოიკოტი.** ლესნერის ქარხნის მუშებს პროტესტი განუცხადებიათ იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც მუშებში ავრცელებენ უფასო გაზეთ „რუსკოე გოსუდარსტვო“-ს, რომლის მიმართულება პირ და პირ წინააღმდეგია მუშათა ინტერესების. მუშებს გადაუწყვეტიათ, ბოიკოტი გამოეცხადოს ამ გამოცემას და დაიწვას ყველა ნომრები, რომლებიც მათ დაურიგდება. მუშები სთხოვენ ამხანაგებს, შეუერთდენ ამ გადაწყვეტილებას.

**„აზრი ტრიალებს“.** რუსეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ უმაღლეს წრეებში ფიქრობენ, 25 მარტს გამოაცხადონ „ბრძანება“ სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. როგორც ამბობენ, ამნისტია გამოცხადდება სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეს.

**„დამამშვიდებელთა“ მოღვაწეობა.** მიტავიდან იუწყებიან: უცხოელ კორესპონდენტთა ბიუროს ანგარიშით „დამამშვიდებელ“ რაზმებს 12 დეკემბრიდან 24 თებერვლამდე სრულიად „დაუმშვიდებიათ“ 3765 კაცი და 237 ქალი.

**ზარალი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუკრებია ცნობები აგრარულ მოძრაობის დროს ზარალის შესახებ. ამ ცნობებით, სარატოვის გუბერნიაში ზარალი უდრის 9,550,320 მანეთს, სამარისაში—3,915,017 მანეთს, კურსკისაში—3, 052, 148 მან., ჩერნიგოვისაში—3,000,000 მანეთს.

**რომელი ერთი გაარჩიონ?** კრონშტადტის საზღვაო სასამართლოში ირჩევა საქმე ნაღმოსან „ბედოვის“ და მასზე მყოფ ადმირალ როჟდესტვენსკის დატყვევების შესახებ. „ცუსიმის“ საქმის გარჩევა მინდობილი ქონდა გენერალ დიკოვს; ახლა ფიქრობენ, ეგ საქმე სხვა წარჩინებულ მოხელეს გადასცენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს „წარჩინებული მოხელე“ „ჩინით“ როჟდესტვენსკიზე დაბლა დგას და ამიტომ მოუხერხებლად ცნეს. ახლა კიდევ ნებოგატოვის და მისი ესკადრის საქმეა გამოსარკვევი.

## დეპეშები

**პეტერბურგი.** 7 მარტი. გაზეთი „რუსი“ იუწყება სახალხო განათლების მინისტრის ნალაპარაკევს. მინისტრს უთქვამს, რომ პროექტი საყოველთაო პირველ დაწყებით განათლების შესახებ მალე დამზადდება და განსახილველად მინისტრთა საბჭოს წარედგინებათ, ამ საქმის მოწყობას დასჭირდება 245 მილიონი. თვითონ სწავლის საქმეს ხელს ვერა შეუშლის რა, ვინაიდან სოფლის მასწავლებელთ—ქალებმა და ვაჟებმა—რიგიანად შეიგნეს პედაგოგიური მოძღვრებანი. სოფლის მასწავლებელთ თვეში 300 მანეთზე ნაკლები ჯამაგირი არ ექმნებათ. საზოგადოებას სკოლის საქმეში დიდი თავისუფლება მიეცემა. სამრევლო-საეკლესიო სკოლები სამინისტრო სკოლებად გადაკეთდებიან, არა რუსთა კერძო სკოლებში სწავლება იმ ენაზე იქმნება, რომელ ენაზედაც მცხოვრებთა უმრავლესობა ლაპარაკობს. უფლების მისაღებად კი ეგზამენი რუსულ ენაზე უნდა დაიჭირონ.

**მოსკოვი.** 7 მარ. გუბერნიის 10 მაზრაში არჩეულ იქმნენ: გლეხი, მოქალაქე და მღვდელი 60; სამი პროფესორი, 2 მასწავლებელი, 2 ნაფიცი ვექილი, 1 მომრიგებელი მოსამართლე და ერთი დონის კაზაკი.

**ვლადიმირი.** 7 მარ. წინასწარ საარჩევნო კრებაზე პოკროვში ამორჩეულ იქმნა 10 მღვდელი. პოკროვის კომისიამ ორი თემის არჩევნები გააუქმა, რადგანაც არჩევნები პირდაპირის ხმის მიცემით მოხდა.

**სევასტოპოლი.** 7 მარ. ტრანსპორტმა „პრუტმა“ ოჩაკოვიდან წამოიყვანა ყველა დამნაშავენი, შმიდტისა და სამის მატროსის გარდა, რომლებიც უკვე დახვრიტეს.

**პეტერბურგი.** 8 მარტი. გაზეთი „რეჩი“ იუწყებოდა, ვითომც სახელმწიფო საბჭოში ირკვევოდა საკითხი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. „რუსკოე გოსუდარსტვო“ აცხადებს რომ ეს საკითხი საბჭოში არავის განუხილავს. „განათლების ლიგის“ დამფუძნებელი კრების გაგრძელება მოხდება 12 მარტს ტენიშევის სასწავლებლის შენობაში.

**პრონსკი,** 8 მარტი. წვრილ მემამულეთა მესამე კრებაზე 662 ამომრჩეველთაგან გამოცხადდა 25. აირჩიეს მღვდელი, 2 აზნაური, ვაჭარი, ორი გლეხი, ერთი წევრი „17 ოქტ. კავშირისა.

**სარატოვი,** 8 მარტი. „სარატოვის დღიურის“ სიტყვით, 1 მარტს ბალოშოვის მაზრაში 7 შეიარაღებულმა პირმა უშკოვსკის მამულიდან გაიტაცა 1700 მანეთი.

**სამარა,** 8 მარტი. „კურიერის“ სიტყვით ჩორკასში დაატუსაღეს რწმუნებულად ამორჩეული გლეხი ზუბკოვი.

**კოროჩი,** 8 მარტი. ამომრჩევლებს ბარათების ნაცვლად სიტყვიერად ეუწყათ კრების დღე. გამოცხადდა 1200 კაცის მაგივრად 48 კაცის არჩეულ იქმნენ 2 საერობო უფროსი, გამგეობის წევრი, ორი მღვდელი და ხუთი გლეხი. ყველა უკიდურესი მემარჯვენე.

**არხანგელსკი,** 8 მარტი. რწმუნებულთა არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა. პოლიცია არ ჩარეულა. არჩეულთა უმრავლესობა გლეხები და წვრილი მოქალაქეებია.

**პეტერბურგი,** 8 მარტი. „ნოვოსტის“ რედაქტორს სამოსამართლო პალატამ მიუსაჯა ერთ თვეს ციხეში ჯდომა. გაზეთი სამუდამოდ დაიხურა.

**პეტერბურგი,** 8 მარტი. სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ 20 მარტს მეცნიერების აკადემიაში და ყველა უნივერსიტეტებში აარჩიონ ამრჩევლები სახელმწიფო საბჭოისა. ამრჩევლები თითო დაწესებულებიდან სამსამი უნდა იყონ, სულ-კი 30. იგინი უნდა მოვიდენ პეტერბურგში და აირჩიონ 6 წევრი სახელმწიფო საბჭოსათვის.

**სლონიმი.** 7 მარტი. ქალაქის მეორე ხარისხის ამომრჩევლად იქმენ არჩეულნი: ებრაელი—სოციალ-დემოკრატი, ნაფიცი ვექილი და დამოუკიდებელი, ხე-ტყით მოვაჭრე სოციალ-დემოკრატი და ექიმი კათოლიკე.

**ვენევი.** 7 მარტ. სათემო თვითმართველობებმა აირჩიეს ამომრჩევლებად სამი გლეხი. წვრილმა მემამულეებმა აირჩიეს 10 მღვდელი.

**როსტოვი დონზე.** (7 მარტ.) სახელმწიფო რჩევისათვის მეორე ხარისხოვან ამომრჩევლებად არჩეულ იქმნენ ბირჟის კომიტეტის მიერ ორი პროგრესისტი, სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტის მიერ არჩეულ იქმნა ქაღალდის ქარხნის მონაწილე, რომელიც სავაჭრო-სამრეწველო პარტიას ეკუთვნის.

**პეტერბურგი.** (7 მარტი). განსაკუთრებული კომმისია გურკოს თავმჯდომარეობით, გაზეთების სიტყვით, არჩევს საგლეხო კანონმდებლობას, რადგან აპირობს შეუთანხმოს ეს კანონმდებლობა 3 თებერვლის 1905 წ.—გზათა მინისტრმა განაცხადა, რომ რკინის გზის მოსამსახურეებს არა აქვთ ნება მიიღონ მონაწილეობა სათათბიროს არჩევნებში თავის სასამსახურო მოვალეობის ასრულების დროს, და შეუძლიათ ისარგებლონ ამ უფლებით მხოლოდ თავისუფალ დროს.

**ლონდონი.** 7 მარტი. „დეილი-ტელეგრაფს“ ატყობინებენ ტოკიოდან, რომ მიწის ძვრამ იმსხვერპლა 4 მარტს ფორმოზის კუნძულზე დიდძალი ხალხი, აყვავებული ქალაქები დატიო, რაიშიკო, შინკო დაინგრენ. კაჩაში მოკვდა 2000 კაცი, დატიოში ნახეს 600 ცხედარი, ზარალი 9 მილლიონ გირვანქა სტერლინგამდის ადის.

---

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. ლ. ბახტაძე.

## განცხადებანი


5 მარტიდან გამოდის ახალი ყოველდღიური, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### „განთიადი“

ამ წლის დამლევამდის გაზეთი ღირს თფილისში დატარებით და სხვა ქალაქში გაგზავნით 5 მ., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი—3 კაპ.

გაზეთი „განთიადი“ გაეგზავნება „სხივის“ ხელის მომწერთაც.

რედაქცია იმყოფება გელიკონსკის ქუჩაზე № 17.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Гантіади“.

რედაქტორ-გამომცემელი თ. კიკვაძე.

---

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი:

„დამფუძნებელი კრება და საარჩევნო უფლება“

ს. გორგასლიძისა.

„სხივის“ ამხანაგობის გამოცემა. ფასი 10 კაპ. ვინც ათს ცალზე მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა შვიდ-შვიდ კაპიკად.

ც წიგნის საწყობი: „ჯეჯილის“—რედაქცია. არტილერიის ქუჩა, 5.


### რკინისგზა:

| მიმავალი: | ფოსტის. | № 5 | № 7 |
|---|---|---|---|
| თბილისიდან | 12.53 | 7.05 | 10.54 |
| გორი | 3.24 | 9.37 | 1.23 |
| ხაშური | 4.58 | 11.08 | 2.49 |
| ყვირილა | 8.17 | 2.14 | 5.55 |
| ქუთაისი | 10.08 | 3.58 | 7.38 |
| სამტრედია | 10.3 | 4.24 | 8.05 |
| ბათუმი | 2.12 | 8.03 | 11,35 |
| ფოთი | 12.58 | 7.02 | 12.10 |
| ბაქოსაკენ გადის: | 7.56 | 8.46 | 11.38 |
| ერევნისაკენ გადის: | 12.10 | 2.11 | — |

თფილისისაკენ მომავალი:

| | ფოსტის. | № 6 | № 8 |
|---|---|---|---|
| ბათუმი | 6.17 | 6.22 | 12.30 |
| ფოთი | 7.11 | 7.22 | — |
| სამტრედია | 9.36 | 9.41 | 3.53 |
| ქუთაისი | 10.13 | 10.18 | 4.33 |
| ყვირილა | 11.49 | 11.59 | 5.58 |
| ხაშური | 3.11 | 3.42 | 9.20 |
| გორი | 4.40 | 5.08 | 10.48 |
| თფილის. | 7.09 | 7.42 | 1 29 |

საათები თფილისის დროს უდრის შავი ასოებით აღნიშნულია საათები სადამოს ექვსი საათიდან დილის ექვს საათამდე.


*ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА* **1906** *ГОДЪ*

на ежедневную политическую, общественную и литературную газету

# Новое обозрѣніе

(23-й годъ изданія),

*выходящую въ Тифлисѣ безъ предварительной цѣнзуры*

подписная плата для городскихъ подписчиковъ УМЕНЬШЕНА

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Для городскихъ подписчиковъ: | | Для иногороднихъ подписчиковъ: | |
|---|---|---|---|
| На 10 мѣсяцевъ | 5 „ — „ | На 10 мѣсяцевъ | 6 „ — „ |
| „ 9 „ | 4 „ 50 „ | „ 9 „ | 5 „ 50 „ |
| „ 8 „ | 4 „ — „ | „ 8 „ | 5 „ — „ |
| „ 6 „ | 3 „ 50 „ | „ 6 „ | 4 „ — „ |
| „ 3 „ | 2 „ — „ | „ 3 „ | 2 „ 50 „ |
| „ 1 „ | -- „ 75 „ | „ 1 „ | 1 „ — „ |

За границу 14 рублей въ годъ

Подписка для городскихъ подписчиковъ принимается въ любое время а для иногороднихъ подписчиковъ—съ 1-го числа каждаго мѣсяца, въ главной конторѣ (Барятинския, 6) и въ отдѣленіяхъ: Кутаисъ, контора газетъ и журналовъ «Колхида», и Батумъ, Тифл. ул., д. Красновскаго, у Х. М. Даніельяна.

Для подписчиковъ, затрудняющихся одновременнымъ взносомъ годовой платы, допускается разсрочка при непрѣменномъ условія непосредственнаго обращенія въ главную контору газеты. О желаніи вносить деньги въ разсрочку гг. иногородные подписчики благоволятъ заявить въ письмѣ, при которомъ отправленъ первый взносъ. При подпискѣ 4 р. и къ 1-му іюля 3 р.


სტამბა ა. ვ. ქუთათელაძისა ფრეილინის ქუჩა, № 12.